კონკურსი „გზავნილი ევროპას“ ილიაუნის სტუდენტებისთვის

კონკურსის შესახებ

2005 წლის 19 მაისს, ოცი წლის წინ, საქართველო ბოლონიის პროცესის სრულფასოვანი წევრი გახდა. ამ წლების განმავლობაში უმაღლესი განათლების ქართულმა სისტემამ ნდობა მოიპოვა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მის თანასწორ წევრად აღიარეს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბოლონიის პროცესის საიუბილეო წლის აღსანიშნავად ილიაუნის სტუდენტებისთვის აცხადებს კონკურსს „გზავნილი ევროპას“. მისი მიზანია გაზარდოს ცნობადობა ბოლონიის პროცესის შესახებ, ხელი შეუწყოს იმის გაცნობიერებას, რამდენად დაეხმარა ბოლონიის პროცესის რეფორმები სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასა და კვლევის ინტერნაციონალიზაციას საქართველოში, როგორ შეძლო საქართველომ, გამხდარიყო ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი; რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ევროპული მომავლისკენ სწრაფვას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი.

დღეს, როდესაც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა გადის ევროპულ აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციის გზას, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ წარსული მიღწევების შეფასება, არამედ მომავლის გააზრებაც ახალი თაობის მიერ. რას ნიშნავს ევროპული განათლება – მხოლოდ აკადემიური ხარისხის შეთანხმებულ სტანდარტს თუ ცოდნისა და თავისუფლების ერთიან ფილოსოფიას? როგორ გავიაზროთ უნივერსიტეტი თავისუფლების, კრიტიკული აზროვნებისა და კოლექტიური მომავლის კულტურულ ასპარეზად, რომელიც სტუდენტისგან მოითხოვს არა მხოლოდ ცოდნის ათვისებას, არამედ ღირებულებებზე დაფუძნებულ დიალოგში ჩართვას? ვიფიქროთ იმაზე, რომ საქართველოს მონაწილეობა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში არის არა მხოლოდ ინსტიტუციური ინტეგრაცია, არამედ აქტიური თანაავტორობა პროექტისა, რომელსაც ევროპის, როგორც რაციონალურობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის ერთიანობის, სახელი ჰქვია. გავიაზროთ ამ პროცესში ჩვენი გამოცდილება, იდენტობა და პასუხისმგებლობა.

კონკურსი სტუდენტებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, გულწრფელი გზავნილით მიმართონ ევროპას - წერილობით გამოხატონ საკუთარი ხედვა, მოლოდინი და ღირებულებები, რომლებიც აკავშირებთ ევროპის იდეასთან, განსაკუთრებით საგანმანათლებლო სფეროში.

კონკურსი გამოავლენს საუკეთესო ხუთეულს.

გამარჯვებულები სასწავლო ვიზიტით გაემგზავრებიან ბრიუსელში და მონაწილეობას მიიღებენ სპეციალურად მათთვის შედგენილ პროგრამაში, შეხვდებიან ევროპარლამენტისა და ევროკომისიის პროფილური კომიტეტების

წარმომადგენლებს, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის წარმომადგენლებს, განათლების პოლიტიკის ექსპერტებს, საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშემწყობ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, ბრიუსელის უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუციების ხელმძღვანელებს.

შეხვედრების თემატიკა:

- ევროპული საგანმანათლებლო სივრცე და მობილობის პროგრამები
- განათლების პოლიტიკა და მართვა
- ხარისხი და გამჭვირვალობა, საგანმანათლებლო ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები, უნივერსიტეტების აკადემიური და ინსტიტუციური ავტონომია
- კვლევა, ინოვაცია და მეცნიერება, ევროპული უნივერსიტეტების ინოვაციური პროექტები და კვლევითი მექანიზმები, კვლევის დაფინანსება და თანამშრომლობის პლატფორმები
- ევროპული ღირებულებები და განათლება, განათლების როლი დემოკრატიისა და თავისუფლების განმტკიცებაში
- ინტერნაციონალიზაცია და სტუდენტური მონაწილეობა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების შემუშავების პროცესში
- განათლება და საზოგადოება: სტრატეგიული ხედვები

დაზუსტებული პროგრამა მოგვიანებით გახდება ცნობილი.

რა უნდა წარმოადგინოთ კონკურსისთვის

სიმბოლური გზავნილი ევროპას. ტექსტს შეიძლება ჰქონდეს ესეის, ბლოგის ან წერილის ფორმა. ავტორს შეუძლია თავად განსაზღვროს სტილი (მხატვრული, ანალიტიკური).

ნამუშევარი სასურველია პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:

- რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველო იყოს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი?
- რა შესაძლებლობებს აჩენს ევროპული პერსპექტივა საგანმანათლებლო, საუნივერსიტეტო და სამეცნიერო მიმართულებით?
- რას ნიშნავს ევროპული განათლება - რა ღირებულებებსა და იდეებს ეფუძნება?
- რა შეცვალა ევროპულმა გამოცდილებამ ქართულ განათლებაში?
- რა განაპირობებს ევროპული განათლების მიმართ ნდობის მაღალ ხარისხს?
- რას მოუყვებოდით ევროპულ საზოგადოებას როგორც ქართველი სტუდენტი, რა არის თქვენი მთავარი გზავნილი?

ვის შეუძლია მონაწილეობა
ილიაუნის ყველა ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს.

ტექსტის ფორმატი და ტექნიკური მოთხოვნები

- სტრუქტურა: სათაური, თავფურცელი, რომელზეც მითითებული იქნება პირადი ინფორმაცია (კონკურსანტის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, უნივერსიტეტი, სასწავლო პროგრამა, კურსი), შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.
- ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 600 სიტყვას.
- ენა: ინგლისური
- ფორმატი: PDF
- შრიფტი – Sylfaen; შრიფტის ზომა – 12; ინტერვალი – ერთი, გვერდის მინდორი: Normal, A4 ფორმატი

ციტირების შემთხვევაში ავტორმა უნდა დაიცვას ციტირების წესი.

ავტორს არ აქვს უფლება, ტექსტის შექმნისას გამოიყენოს გენერაციული ხელოვნური ინტელექტი. AI-ის გამოყენების შემთხვევაში ნამუშევარი არ განიხილება.

კონკურსის ეტაპები და შერჩევის პროცესი
პირველი ეტაპი: კონკურსანტებმა უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა და შესაბამის ველში ატვირთონ ბმულზე https://shorturl.at/nyRSk ზემოთ მითითებული ტექნიკური პარამეტრების დაცვით შესრულებული ნამუშევარი. სპეციალური ჟიური შეარჩევს საუკეთესო ნამუშევრებს.

მეორე ეტაპი: ჟიური შერჩეულ კანდიდატებს მოიწვევს გასაუბრებაზე და გამოავლენს 5 გამარჯვებულს.

გამარჯვებულ სტუდენტებს შედეგები ეცნობებათ **26 ივლისს.**

შეფასების კრიტერიუმები

- თემასთან შესაბამისობა
- ნამუშევრის ორიგინალურობა
- შინაარსობრივი და სტილისტიკური გამართულობა

განაცხადის წარდგენის ფორმა და ვადები

- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა შეავსოს **სარეგისტრაციო ფორმა**, რომელშიც უნდა ატვირთოს ნამუშევარი და რეზიუმე (CV).
- განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა **16 ივლისი, 23:59.**

სასწავლო ვიზიტის პერიოდი: 2025 წლის ოქტომბერი (თარიღი მოგვიანებით დაზუსტდება), ხანგრძლივობა – 5 დღე.

ბრიუსელში მგზავრობისა და განთავსების ხარჯებს ფარავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელექტრონულ მისამართზე: pr@iliauni.edu.ge